პროტესტის მონაწილეთა ფსიქიკური ჯანმრთელობა ხანგრძლივი პროტესტის ფონზე

ეთერ ბიჭიკაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ია შეყრილაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი შესრულებულია დამოუკიდებლად და წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ აკადემიურ ნაშრომს. მასში გამოყენებული ყველა იდეა, მოსაზრება, მონაცემი და სხვა ავტორების ნამუშევრები სათანადოდ არის მითითებული და ციტირებული აკადემიური ეთიკისა და ციტირების წესების შესაბამისად.

06.06.2026

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა შეისწავლის ხანგრძლივი საპროტესტო პროცესების პირობებში პროტესტის მონაწილეთა ფსიქიკურ კეთილდღეობასთან დაკავშირებულ ფსიქოლოგიურ ფაქტორებს. კვლევის მიზანია აღქმული სტრესის, დანაშაულის განცდისა და დისპოზიციური ოპტიმიზმის კავშირის დადგენა ფსიქიკურ კეთილდღეობასთან, ასევე ოპტიმიზმისა და დანაშაულის განცდის მოდერაციული როლის შესწავლა აღნიშნულ მიმართებებში. კვლევა ეფუძნება ლაზარუსისა და ფოლკმანის სტრესისა და დაძლევის ტრანზაქციულ მოდელსა და ჰობფოლის რესურსების შენარჩუნების თეორიას, რომელთა ინტეგრაცია საშუალებას იძლევა, აქტივიზმის კონტექსტში ფსიქიკური ჯანმრთელობა გაანალიზდეს როგორც სტრესის, მორალური ემოციებისა და პიროვნული რესურსების ურთიერთქმედების შედეგი.

კვლევაში მონაწილეობდა 215 სრულწლოვანი სამოქალაქო აქტივისტი, რომლებიც 2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე საპროტესტო აქციებში რეგულარულად მონაწილეობენ. მონაცემთა შეგროვება განხორციელდა ონლაინ ფორმატის გამოყენებით (Google Forms). კვლევაში გამოყენებული იყო აღქმული სტრესის სკალა (PSS-10), ცხოვრების ორიენტაციის ტესტი (LOT-R), სიტუაციური დანაშაულის განცდის მოდიფიცირებული სკალა (SSGS-Adapted) და უორვიკ-ედინბურგის ფსიქიკური კეთილდღეობის სკალა (WEMWBS). ყველა ინსტრუმენტმა აჩვენა სანდოობის მაღალი მაჩვენებელი.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ აღქმული სტრესი და დანაშაულის განცდა ფსიქიკურ კეთილდღეობასთან უარყოფითად იყო დაკავშირებული, ხოლო დისპოზიციური ოპტიმიზმი — დადებითად. ამასთან, მოდერაციულმა ანალიზმა არ დაადასტურა ოპტიმიზმისა და დანაშაულის განცდის მოდერაციული როლი აღქმულ სტრესსა და ფსიქიკურ კეთილდღეობას შორის კავშირში.

კვლევა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე ქართული სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, სადაც სამოქალაქო აქტივისტები მაღალი ფსიქოლოგიური დატვირთვისა და რეპრესიული გარემოს პირობებში მოქმედებენ. მიღებული შედეგები ხელს შეუწყობს აქტივისტთა ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვისა და მხარდამჭერი ინტერვენციების დაგეგმვას.

Abstract

The present study examined psychological factors associated with the mental well-being of protest participants in the context of prolonged protest movements. The aim of the study was to investigate the relationships between perceived stress, feelings of guilt, dispositional optimism, and mental well-being, as well as to examine the moderating roles of optimism and guilt in these relationships. The study was grounded in Lazarus and Folkman's Transactional Model of Stress and Coping and Hobfoll's Conservation of Resources Theory. The integration of these theoretical frameworks enables the analysis of mental health in the context of activism as an outcome of the interaction between stress, moral emotions, and personal resources.

The study included 215 adult civic activists who had been regularly participating in the protest demonstrations ongoing since November 28, 2024. Data were collected through an online survey administered via Google Forms. The instruments used in the study were the Perceived Stress Scale (PSS-10), the Life Orientation Test–Revised (LOT-R), an modified version of the State Shame and Guilt Scale measuring situational guilt (SSGS-Modified), and the Warwick–Edinburgh Mental Well-Being Scale (WEMWBS). All instruments demonstrated high reliability.

The findings indicated that perceived stress and feelings of guilt were negatively associated with mental well-being, whereas dispositional optimism was positively associated with mental well-being. Furthermore, moderation analyses did not support the moderating roles of optimism or guilt in the relationship between perceived stress and mental well-being.

This study is particularly relevant within the contemporary Georgian socio-political context, where civic activists operate under conditions of heightened psychological burden and a repressive environment. The findings may contribute to the development of interventions and support programs aimed at promoting and protecting the mental well-being of activists.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში გაწეული მხარდაჭერისა და პროფესიული დახმარებისთვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ია შეყრილაძეს. მისი მუდმივი ჩართულობა კვლევის დაგეგმვისა და ნაშრომის მომზადების ყველა ეტაპზე, ღირებული რეკომენდაციები, პროფესიული რჩევები და მხარდაჭერა მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენდა ამ ნაშრომის წარმატებით განხორციელებისთვის.

ასევე, გულწრფელ მადლობას ვუხდი კვლევის ყველა მონაწილეს, რომლებმაც დრო და ძალისხმევა დაუთმეს კვლევაში ჩართვას. მათი თანამშრომლობა და აქტიური მონაწილეობა მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო კვლევის განხორციელებისა და წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისთვის. მათი წვლილი ფასდაუდებელია ამ კვლევის წარმატებით დასრულებაში.